დავით სართანია •

საქართველოს პოლიტიკური მომავლისათვის კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის ივანე ჯავახიშვილისეული გეგმა ••

ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარის შესახებ წერდა, რომ მასზე მეტი არავის უწერია უნივერსიტეტის დაარსების „კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად“-ო. [1] არადა ივანე ჯავახიშვილმაც კარგად იცოდა, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება მხოლოდ „კულტურული საქმე“ არ იყო. ეს კარგად გამოჩნდა მის მოხსენებაში, რომლითაც იგი პროფესორთა საბჭოს წინაშე წარდგა უნივერსიტეტის გახსნიდან რამდენიმე თვეში.

ამ მოხსენების არსი კარგად რომ დავინახოთ საჭიროა ჯერ მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება გავიხსენოთ.

უნივერსიტეტის დაარსებისა და ფუნქციონირების დაწყება პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის ფონზე განვითარდა. ივანე ჯავახიშვილმა რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ მოსულ დროებით მთავრობას მიმართა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ნებართვისათვის, რომელმაც შეზღუდული უფლებებით ეს თხოვნა დააკმაყოფილა,თუმცა საჭირო დოკუმენტმა თბილისამდე ვერ ჩამოაღწია, ისე შეიცვალა რუსეთში ხელი-

---

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

•• კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში” ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-21-9053.

[1] ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა. თბ., 1996. გვ. 37.

სუფლება.[2] რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკები კი ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა არ ცნეს და რადგან მხარეს მართვა სჭირდებოდა, დაიწყეს გამოსავლის ძიება. მართლაც, ცოტა ხანში, 1917 წ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის კომისარიატი“ ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. ეს იყო ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა, რომლის წევრები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთში სიტუაცია დასტაბილდებოდა, ბოლშევიკები დამარცხდებოდნენ და კოალიციური დემოკრატიული მთავრობა შექმნებოდა.[3]

ივანე ჯავახიშვილმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და ახლა უნივერსიტეტის დაარსების ნებართვისთვის სწორედ ამ ახლადშექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა. 1917 წ. 2 დეკემბერს უნივერსიტეტის გახსნის ნებართვაც მიღებულ იქნა. ხოლო საზეიმო გახსნა მოხდა 1918 წ. 26 იანვარს.

რაც შეეხება საომარ მოქმედებს, სადაც კავკასიის ფრონტზე ერთმანეთს უპირისპირდებოდა რუსეთისა და ოსმალეთის ჯარები, რუსულმა არმიამ ფრონტი მიატოვა და შინ დაბრუნება დაიწყო.[4] ოსმალებისთვის წინააღმდეგობის გამწევი ძალა კი არ ჩანდა. „ამიერკავკასიის დროებით მთავრობასაც... კარგად ესმოდა შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა... მაგრამ ერთიანი ჯარის ჩამოყალიბება მან ვერ შეძლო. საჭიროების დროს ეყრდნობოდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საჯარისო ერთეულების მექანიკურ გაერთიანებას, რომელიც მოისუსტებდა დისციპლინით, შეიარაღება-

[2] ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984. გვ. 207-210.

[3] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001 წ. გვ. 76-77.

[4] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001 წ. გვ. 82-83.

გაწვრთნილობით და ამდენად ბრძოლისუნარიანობითაც“.[5] ამის გამო ოსმალების შეკავება ძნელი ხდებოდა.

1918 წ. 5 იანვარს მოსკოვში მუშაობა დაიწყო რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც უარი განაცხადა რუსეთის არსებულ მთავრობის ცნობაზე. საპასუხოდ ლენინის მეთაურობით ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დამფუძნებელი კრება ძალის გამოყენებით დაითხოვა[6] ლენინის მთავრობას ჰაერივით სჭირდებოდა ომის შეწყვეტა და 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გამართულ საზავო მოლაპარაკებაზე გერმანიას მოკავშირეს თურქეთს დაუთო საქართველოს ძირძველი ისტორიული ტერიტორიები არტაანისა და ართვინის პროვინციების სახით, რომელშიაც ბათუმიც შედიოდა. მანამდე კი 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიაში მოქმედი პარტიების მიერ მოწვეულიქნა ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი).[7]

ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა საქართველო კიდევ უფრო რთულ ვითარებაში ჩააყენა. საერთაშორისო მხარდაჭერით ზურგგამაგრებული ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ცნობას მოითხოვდა. ყოველივე ამან მოითხოვა ამიერკავკასიას გამოკვეთილი პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი მიეღო. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა „ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო დეკლარაცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკად მისი გამოცხადების თაობაზე“.[8] ამ

[5] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001 წ. გვ. 87.

[6] ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. ნათმელაძე, საქართველოს ისტორია, საქართველო XIX-XX საუკუნეებში, ტ. IV. თბ., 2020 წ. გვ. 163.

[7] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001 წ. გვ. 87.

[8] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001 წ. გვ. 92.

ახლად შექმნილი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა აკაკი ჩხენკელი.

ამიერკავკასიის ახალმა ხელისუფლებამ განაახლა მოლაპარაკება თურქეთთან და მისი დელეგაცია 1918 წ. 11 მაისს ჩავიდა ბათუმში ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლად. თურქები კი ახლა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს არ სჯერდებოდნენ და ზავის სანაცვლოდ მოითხოვდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკას მისთვის დაეთმო ბათუმ-ყარსის ოლქები, ერევნის გუბერნიის მესამედი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და სრული მშვიდობიანობის დამყარებამდე მათ გადასცემოდათ ამიერკავკასიის რკინისგზა.[9]

ასეთ მძიმე ვითარებაში, თურქეთის მოკავშირესთან გერმანიასთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ, დაიბადა იდეა, რომ საქართველო უნდა გამოსულიყო ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან და გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ გერმანია მოახდენა ზეწოლას თავის მოკავშირე თურქეთზე და საქართველოს გაუწევდა მფარველობას. ეს გეგმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელშიაც შედიოდა საქართველოში მოქმედი პარტიები, მიიღო და საქართველომ 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა კიდევაც დამოუკიდებლობა.

ამდენად, 1918 წლის პირველი ნახევარი მეტად მძიმე და რთული პერიოდი იყო საქართველოსათვის. სწორედ ასეთ ვითარებაში უწევდა ფუნქციონირება პირველ ქართულ უნივერსიტეტს, რომლის მესვეურები არა მარტო სამეცნიერო და სასწავლო საკითხებით იყვნენ დაკავებულნი, არამედ ყველა საზოგადო პრობლემებზეც სათანადოდ რეაგირებდნენ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2 მაისს შემდგარი თბილისის უნივერსიტეტის

[9] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001 წ. გვ. 93.

პროფესორთა საბჭოს სხდომა. ამ სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთი განსახილველი საგანი იყო ივ. ჯავახიშვილისა და ი. ყიფშიძის მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემსწავლელი კომიტეტი“-ს დაარსების შესახებ,[10] რომელიც დადებითად გადაწყდა. ოქმში იქვე მითითებულია „იხ. საბჭოს საქმეები“. სამწუხაროდ ეს მასალები მიკვლეული არაა და არ ვიცით რას წარმოადგენდა ეს კომიტეტი, რა უფლებამოსილებით იყო იგი აღჭურვილი, ვინ შედიოდა მასში და ა.შ. უცნაურია, რომ პროფესორთა საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიუხედავად იმავე წლის 17 ივნისს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი კვლავ დასმულა და კვლავ დადებითად გადაწყვეტილა. თითქმის სიტყვასიტყვითაა გამორებული 2 მაისის ოქმის შინაარსი.[11]

2 მაისის სხდომაზე ზემოხსენებულ საკითხის განხილვას წინ უძღვის „ი. ჯავახიშვილის მოხსენება კავკასიის სხვადასხვა მთიელთა ენების შესწავლის შესახებ“.[12] ამ მოხსენების შინაარსი ოქმში მოკლედ შემდეგი სიტყვებითაა გადმოცემული: „მომხსენებლის აზრით ასეთ შესწავლას გარდა დიდი მეცნიერული მნიშვნელობისა, და სხვათა შორის ქართული ენის მეცნიერულად შესწავლისათვის, აქვს აგრეთვე ჩვენთვის ქართველებისათვის პოლიტიკური მნიშვნელობაც“.[13] აქვე მითითებულია: „იხ. საბჭოს საქმეები“. ეს საქმეები რომ გვქონოდა, ისინი ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს. მაგრამ რაც ოქმში წერია, ისიც ცხადად გვეუბნება შემდეგს, რომ **კავკასიელი ხალხების ენების შესწავლას სამეცნიეროს გარდა აქვს ქართველებისათვის პოლიტიკური** მნიშვნელობა. ალბათ ამის გამო არსდება კიდავაც „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემსწავლელი კომიტეტი“. უნდა დაისვას კითხვა: რისი შესწავლა იგულისმება

[10] პროფესორთა საბჭოს ოქმები, თბ., 2006 წ. გვ. 113.
[11] იქვე, გვ. 123.
[12] იქვე. გვ. 113.
[13] იქვე. გვ. 113.

მოცემულ წინადადებაში? ამ კითხვას ორი ალტერნატიული პასუხი აქვს:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიის შესწავალა;
2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძებათა შესწავლა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ არ აღდგენილა, რომ მასში ამ აღდგენის პროცესის ისტორიის შესწავლა ყოფილიყო მიზნად დასახული. ამიტომ იძულებული ვართ ძალაუნებურად ვიგულისხმოთ მასში იმ საკითხების შესწავლა თუ როგორ უნდა აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სანამ ამ საკითხის გასაშუქებელი ახალი მასალები არ გამოვლენილა, ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ ზემოთქმულით დავკმაყოფილდეთ და ივანე ჯავახიშვილის მოხსენება განვიხილოთ.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ფონდში ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალები, რომელთა ნაწილი შეიცავს ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილ სხვადასხვა სახის დოკუმენტებს. ერთ-ერთ საქმეში დევს ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილი მოხსენება, რომლის სათაურიცაა „მოხსენება ტფილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ“.[14] იგი დაწერილია შავი მელნით, ხოლო ბოლოს ავტორის ხელმოწერა ლურჯი მელნითაა შესრულებული. დოკუმენტს თარიღი არ უზის, მაგრამ მოხსენების სათაური და მისი შინაარსი ზუსტად იმეორებს პროფესორთა საბჭოს 2 მაისის ოქმის მონაცემებს. ამდენად, იგი, რა თქმა უნდა 2 მაისამდეა დაწერილი, მაგრამ საჯაროდ წაკითხულ იქნა სწორედ 2 მაისის პროფესორთა სხდომაზე.

[14] საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე # 7. ფ. 20-51.

ეს დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა თ. ტაბლიაშვილმა.[15] რადგან იგი საბჭოთა წლებში გამოქვეყნდა, პოლიტიკური კონიუქ-ტურის გამო ტესტიდან ამოღებულია ძირითადი ადგილები, რომ-ლის გარეშე მოხსენება თავის ძირითად აზრს კარგავს. აღნიშნული მოხსენების სრული ტექსტი მოგვიანებით ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნდა.[16]

მოხსენება იწყება ივ. ჯავახიშვილის წინა მოხსენებაზე მითი-თებით: „უკვე იმ მოხსენებაში, რომელიც ტფილიში ქართული უნი-ვერსიტეტის დაარსების აუცილებლობას ეხება, აღნიშნული მქონდა ის მთავარი მიზანებიც, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ტაძარს დასა-ხული უნდა ჰქონოდა“. ეს მითითება ეხება ივანე ჯავახიშვილის მიერ 1917 წ. ჯერ თბილისში 12 მაისს და მერე ქუთაისში 17 მაისს გაკეთებულ მოხსენებას.[17] ამ მოხსენებაში ავტორი ქართული უნი-ვერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ საუბრისას მის ამოცანად კავკასიის ხალხების კულტურისა და კავკასიის ბუნების შესწავლას სახავდა: „საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირვე-ლეს მიზანს“.[18]

ამავე დროს მეცნიერი ხაზს უსვამდა მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარებას, რომ უკვე რუსეთის იმპერიაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ დამონებული ერებისათვის სასი-კეთო პერსპექტივები იშლებოდა. იგი ამბობდა: „ყველასათვის ცხა-

[15] „საისტორიო მოამბე“, # 21-22. 1967. გვ. 355-359.

[16] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010.

[17] ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2018. გვ. 13-24.

[18] ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2018. გვ. 24.

დი უნდა იყოს, რომ არცერთს ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერი კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“.[19]

ალბათ საკამათო არ უნდა იყოს, რომ ეს სიტყვები პოლიტიკურ ნარატივს შეიცავს. ეს ნარატივი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მას გერმანიის მაგალითი რომ მოჰყავს: „თუ გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ომის ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს და ყველგან სადაც კი იგი მოქმედებას დაიწყებს ხოლმე, მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანური მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული... ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენ თუ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურის ნორჩ აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“.[20]

მეცნიერი იქვე კითხულობდა: „რა გზით?“. ამის პასუხი ერთადერთი იყო: საქართველოში უნდა დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, თუ კი ყველაფერი პოლიტიკურ ასპარეზზე ქართველებისათვის სასიკეთოდ არ წარიმართებოდა, უნივერსიტეტი მაინც დიდ როლს შეასრულებდა ქვეყნის განვითარებაში. იგი იმავე მოხსენებაში ამბობდა: „რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ისე უბედურად შემოტრიალდეს, რომ ერობის მეტს ვერას ველირსნეთ, განა ამ უკი-

[19] ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2018. გვ. 19.

[20] ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2018. გვ. 19-20.

დურეს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლულნი ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან?“[21]

ეს ითქვა 1917 წლის 12 მაისს. ახლა კი 1918 წლის 2 მაისი იყო. ქართული უნივერსიტეტი დაფუძნებული იყო და პირველ ნაბიჯებს დგამდა. საქართველოს ჯერ თავისი სუვერენიტეტი აღგენილი არ ჰქონდა და არც არავინ იცოდა რა გზით განვითარდებოდა მისი სვე-ბედი ხვალ. სადღეისო ვიტარება კი მეტად მძიმე იყო: პირველი მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დასრულებული, სამხრეთიდან თურქოსმალები გვიტევდნენ და ჩრდილოეთიდან კი სხვადასხვა რუსული დაჯგუფებები გვემუქრებოდა.

ეს დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში შეკვეცილ-შეკრეჭილად გამოქვეყნდა, ნათლად ამტკიცებს თუ რა გაქანების პიროვნება იყო ივანე ჯავახიშვილი. მართალია აქ უნივერსიტეტის ერთ ფაკუტეტზეა საუბარი, მაგრამ, როცა ივანე ჯავახიშვილი ამ სიტყვებს წერდა, მაშინ სხვა ფაკულტეტი არც არსებობდა. მეორეც, რომ არსებულიყო, საზოგადოებრივ საკითხებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ვერ იტვირთებდა და ვერც ივანე ჯავახიშვილი დააკისრებდა მათ იმ ამოცანებს, რომლებიც ამ მოხსენებაშია მოცემული. ივანე ჯავახიშვილი ცდილობს უნივერსიტეტის და მეცნიერების ეგიდით იკისროს ქართველი ერისა და მისი მეზობელი ერების კონსოლიდაციის დიდი მისია.

მეცნიერი დროის ამოცანას ასე აყალიბებს: „რაკი ამჟამად ჩვენი **ერის პოლიტიკური მომავალი** და იმედი უკვე ნათლად გამორკვეული გვაქვს[22] და ჩვენი **ერის მდგომარეობაც მომავალ საარ-**

[21] ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2018. გვ. 23.

[22] გავიხსენოთ: ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა დააფუძნეს.

სებო ბრძოლაში უფრო მკაფიოდ გათვალისწინებადია, **გარემოება გვავალებს** ეს ერთი **დასახული მიზანთაგანი**[23] ეხლა მთელის თავისი სიღრმე-სივრცელით განვიხილოთ და **საფუძვლიანი შეს-წავლის** შემდგომ **წინასაწრ შემუშავებული გეგმისადა** (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) მიხედვით მის განხორციელებას შევუდგეთ".[24]

ამ ერთი წინადადებით ივანე ჯავახიშვილმა თავისი მოხსენების ძირითადი არსი გადმოგვცა: ჯერ კიდევ ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას რომ გვქონდა „დასახული მიზანი", რომ შეგვესწავლა კავკასიის ბუნება და აქ მცხოვრებთა ყოფა და კულტურა, ახლა უკვე შექმნილი „გარემოება გვავალებს" „ერის პოლიტიკური მომავლის" გამორკვევის გამო საკითხის „საფუძვლიანი შესწავლის" შემდეგ „წინასწარ შემუშავებული გეგმის" მიხედვით რომ უნდა ვიქმოქმედოთო. „საფუძვლიანი შესწავლაო" ბრძანებს მეცნიერი და უნებურად 2 მაისის სხდომაზე დამტკიცებული კომიტეტი გვახსენდება, რომელსაც ერქვა: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემსწავლელი კომიტეტი". როგორც ეტყობა, ივანე ჯავახიშვილს თავისი მოხსენება სულაც არ მიაჩნია საკითხის ამომწურავ გეგმად. ეს მხოლოდ ამ შესწავლის დასაწყისია. ეს მხოლოდ ლოგიკური ვარაუდია, ხოლო ცხადი ისაა, რომ ყოველ მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი მეცნიერულ შესწავლაზე აფუძნებს. იგი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებობდა ფაკულტეტი, რომელსაც მიზნად მთელი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული", მაგრამ სამწუხაროდ „არც რუს მეცნიერთა და არც რუს სტუდენტთა შორის მათ მრავალრიცხოვ-

[23] რაც ზემოთ ახსენა: კავკასიის ხალხების კულტურის შესწავლა.

[24] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 28.

ნებისდა მიუხედავად აღმოსავლეთისა და სამხრეთის... აწმყოსა და წარსულის მეცნიერული შესწავლა არ აინტერესებთ“.[25]

რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, აქ მხოლოდ ბერლინსა და პარიზში აქვთ აღმოსავლეთისადმი ინტერესი, მაგრამ „ორთავეს უმთავრესად პრაქტიკული და არა სამეცნიერო მიზანი აქვთ. ისე კი დასავლეთ ევროპაში, სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მხოლოდ თი-თოოროლა სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი ჰყავთ, ერთად კი, ორიენტალისტები არსად არ არიან თავმოყრილნი“.[26] ახლა კი, როცა რუსეთი დაიშალა და მისი სახელმწიფო საზღვრები შემცირდა, – ამბობს ივანე ჯავახიშვილი, – კიდევ უფრო ჩამოქვეითდება აღმო-სავლეთის შესწავლის თვალსაზრისითო. ყოველივე ეს გვკარნახობს, რომ აღნიშნული ამოცანა სწორედ ქართველებამ და პირველ რიგში ქართულმა უნივერსიტეტმა უნდა ითავოსო. ივანე ჯავახიშვილი ამ აზრს შემდეგნაირად აყალიბებს:

„ჩვენი მთელი მომავალი და გონივრულად გათვალისწინე-ბული **ეროვნული პოლიტიკა გვავალებს,** რომ კავკასიისა და მახ-ლობელ აღმოსავლეთის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ჩვენ, ქართველებმა, ქართულმა მეცნიერებამ და ჩვენმა უნივერსიტეტმა იკისროს. ამას, როგორც აღნიშნული გვქონდა, თვით ჩვენივე ერისა და ქვეყნის სამეცნიერო **შესწავლაც** მოითხოვს. მაგრამ ამას ჩვენ **წმინდა პოლიტიკური მოსაზრებაც** (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) გვიკარნახებს“.[27]

რაში მდგომარეობს ეს პოლიტიკური მოსაზრება?

---

[25] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 28-29.

[26] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 29.

[27] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 30.

„რუსეთის დაშლამ და პოლიტიკურმა დაუძლურებამ და **ოსმალეთის მოულოდნელმა** გამობრუნებამ და **გაძლიერებამ** ჩვენთვის **საკუთარ პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა** (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) ცხადჰყო“.[28]

მართლაც, მოცემული მომენტისათვის (1918 წ. მაისი) ძალაუფლება რუსეთში ბოლშევიკების ხელშია. ისინი გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ბრესტ-ლიტოვსკის ზავით უდიდეს დათმობაზე წავიდნენ, რამაც ოსმალეთს მართლაც გაუხსნა გზა კავკასიისაკენ. სწორედ ამ ვითარებას გულისხმობს ივანე ჯავახიშვილი როცა წერს, რომ ქართველ ერს „საკუთარი პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა“ დაუდგაო. ეს არის ივანე ჯავახიშვილის შესანიშნავი პოლიტოლოგიური ანალიზი. „ოსმალეთის მოულოდნელი გამობრუნების“ შედეგს იგი ხედავს მაჰმადიანი მესხების თავიანთ თვისტომ ქართველების წინააღმდეგ გამოსვლებში. ეს ხომ სწორედ ოსმალების მიერ იყო პროვოცირებული. ოსმალების ისლამისტურ პროპაგანდას მაჰმადიან ქართველთა მიერ ქრისტიან თანამოძმეთა სისხლისღვრა მოჰყვა. ივანე ჯავახიშვილის აზრით ყოველივე ამას ხელი შეუწყო „ჩვენი პოლიტიკის მესვეურთა შეცდომებმა“.[29]

ივანე ჯავახიშვილი სკეპტიკურად უყურებს ახლადდაარსებულ „კავკასიის საფედერაციო რესპუბლიკას“, რომელშიაც იგულისხმება 1918 წლის 22 აპრილს ჩამოყალიბებული ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. მისი აზრით ამ რესპუბლიკაში „გამთიშავი ძალა იმდენად ძლიერია“, რომ განხეთქილება ყოველთვის მოსალოდნელია. ამ ფედერაციის სუბიექტებს – საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ და მათი შეთანხმება მეტად ძნელია. აზერ-

[28] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 30

[29] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 30

ბაიჯანელები ოსმალებში თავიანთ თვისტომს ხედავენ და ბუნებრივად ერთამანეთის მოკავშირენი ხდებიან. სომხები კი „გაზვიადებული ეროვნული პოლიტიკური მოთხოვნილებებით“ არიან აღვსილნი და ერთობაში დისონანსი შეაქვთ.[30] როგორც ცნობილია, სომხები ინგლისელების მხარდაჭერით იყვნენ ზურგაგმაგრებულნი და დიდი სომხეთის სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდნენ, რომელიც შავი ზღვიდან კასპიისა და ხმელთაშუა ზღვამდე იქნებოდა გადაჭიმული. ამ სივრცის უდიდესი ნაწილი კი სომხებს არც არასდროს კუთვნებიათ.[31]

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის აზრით ქართველები შეიძლება ამ პრობლემის წინაში მალე აღმოჩენილიყვნენ. მართალია, ოსმალეთი ჯერჯერობით საფრანგეთისა და ინგლისის მოქმედებით ხელ-ფეხ შეკრულია, მაგრამ ხელსაყრელი ვითარებაც მალე შეიძლება დაუდგეს. შესაძლებელია ოსმალეთმა აზერბაიჯანელებთან ერთობას მიაღწიოს და ბაქოს ნავთობს დაეპატრონოს. მაშინ ქართველობა სამხრეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც ოსმალების მიერ იქნება გარშემორტყმული. ამის გამო, ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, „ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჯერ არც ერთხელ არა ვყოფილვართ“. ამის გამო, ქართველობა ვალდებულია ყველაფერი იღონოს, რომ „ოსმალეთის გეგმის სრულიად განხორციელება მომავალში შეუძლებელი შეიქმნას“.[32]

ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი დასკვნით ოსმალები საშიშნი იყვნენ არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ იდე-

[30] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 31.

[31] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. XII, თბ., 1998, გვ. 495-496.

[32] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 31-32.

ოლოგიური იარაღით, რომლისთვისაც ისლამურ რელიგიას იყენებდნენ. ჩრდილოკავკასიელი ხალხები ისლამის მიმდევრები არიან და ამ ფაქტორის გამოყენებით ოსმალებმა შეიძლება ისინი თავიანთ მოკავშირედ აქციონ, რადგანაც „ეროვნული შეგნება ძალიან ნაკლებ აქვთ განვითარებული და რაკი კულტურულადაც ჩამორჩენილები არიან, ოსმალეთის სრულიადისლამობის ქადაგების ანკესზე ასე ადვილად ეგებიან". თუ ასე მოხდა, ეს ჩვენთვის „სრული დამარცხების მომასწავებელი იქნებოდა იმ ბრძოლაში, რომელიც შესაძლოა მომავალში გაჩაღდეს".[33] ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ კავკასიელების გადაგვარების პოლიტიკას და საჭიროა კონტრზომები მივიღოთ: რელიგიურ ღირებულებებს ეროვნული ღირებულებები დავუპირისპიროთ და ჩრდილო კავკასიელ ხალხებს „ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვიძოთ და გულის სიღრმემდე ვაგრძნობინოთ... ეროვნული გრძნობა შევაგნებონოთ და ამით სრულიად ისლამობის მავნე გავლენა გავაქარწყლოთ".[34]

ოსმალები ისლამის დროშით ჩრდილოკავკასიის ხალხებს ადვილად იმორჩილებენ, რადგანაც მათ მწერლობა არა აქვთ და „გადაგვარება ადვილად ეპარებათ". ჩვენ სწორედ ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და მთელი ძალები აქეთკენ მივმართოთ. ივანე ჯავახიშვილი კავკასიის ხალხებში პოლიტიკური კავშირების გაბმას კი არ ცდილობს, რადგან ასეთი რამ მხოლოდ დამოუკიდებელ სუბიექტებს შეუძლიათ. ასეთი კი ჯერ არც საქართველო იყო და მით უმეტეს ჩრდილო კავკასიის ხალხები. მისი აზრით ამ ხალხებთან კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის გზებია მოსაძებნი და თავად სწორედ ასეთი კავშირების აღორძინებას სა-

[33] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 32.

[34] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 32-33.

ხავს მომავლის ამოცანად. მეცნიერი ამ საკითხს ისტორიაში უძებ-ნის კიდევაც ფესვებს და წინაპართა ნაკვალევზე სიარულს გვირ-ჩევს. ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, ქართველობას წარსულში ქრისტიანული მრწამსი შეჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხალხებში და მათში მწერლობის ჩასახვა-განვითარებასაც უწყობდა ხელს. ამიტომ „ქართველებმა ისევ ჩვენს წინაპრების მაგალითს უნდა მივბაძოთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სამოქმედო იარაღი დროის შესაფე-რისად შევცვალოთ“.[35]

თუ რუსები და ოსმალები მათ გარუსებასა და გათურქებას ცდილობდნენ, „ჩვენ კი სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ. – ამბობს ივანე ჯავახიშვილი, – არც რუსების, არც ოსმალთა გზა ჩვენ ქარ-თველებს არ გამოგვადგება. მთეულთა[36] ეროვნულ გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს. საამისოდ ჩვენ არც ძალა გვაქვს და თუნდაც რომ ძალა გვქონდეს მაინც არ უნდა ვიკადროთ. ჩვეულებრივ ამგვარი პოლიტიკაც უფრო უსიამოვნებასა და მტრო-ბას სთესავს, ვიდრე სიყვარულს. მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვე-ულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობ-ლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი“.[37] ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ენის, კულტურის, ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შეს-

[35] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 35.

[36] ივანე ჯავახიშვილი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ცნებებს „მთიული“ და „მთეული“. პირველში იგი ქართველების ერთ-ერთი მხარის მცხოვ-რებლებს (გუდამაყრის ხეობა) გულისხმობს, ხოლო მეორეში არაგვისა და თერგის ხეობის მცხოვრებლებს. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. იხ. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტო-მად, ტ. II, გვ. 42-43). ამ მოხსენებაში კი „მთეულებში“ ჩრდილო კავ-კასიის ხალხებს გულისხმობს, ოღონდ რატომღაც დაღესტნელების გამოკლებით.

[37] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 34.

წავლა და ამ ხალხებში განათლების შეტანა არის ივანე ჯავახიშვილის აზრით ის საფუძველი, რაზეც ქართველებისა და ჩრდილო კავკასიელების კეთილმეზობლობა დამყარდება. ამით მათ, ერთი მხრივ, რუსული და ოსმალური გადამგვარებელი გავლენისაგან გადავარჩენთ და, მეორე მხრივ, ჩვენც კეთილგანწყობილ მეზობელ ხალხებს გავიჩენთ. ივანე ჯავახიშვილის აზრით „თვით ჩვენივე მომავალი პოლიტიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გადამგვარებელი პანთურქული... რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი უნდა ნაყოფიერი იყოს და ჩვენი და მთეულ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას“.[38]

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილის მსჯელობა დიდად სცდება სამეცნიერო ინტერესებს და იგი სამოქმედოდ ეროვნულ-სახელმწოფოებრივ პოლიტიკას გვკარნახობს.

ივანე ჯავახიშვილს, როგორც ისტორიკოსს, კარგად მოეხსენებოდა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი და ახალი მოსახლეობის ენებისა და კულტურის შესწავლის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიისათვის. აქ მცხოვრები ხალხების ისტორიასთან კავშირში უნდა დადგენილიყო ქართველი ერის გარდასული ცხოვრების პერიპეტიები და ახსნილიყო კულტურული თავისებურებები. ამის შესახებ იგი ჯერ კიდევ 1908 წელს გამოსულ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში წერდა, შემდეგ კი მის მიერ შექმნილ უნივერსიტეტს დაუსახა ამოცანად. ახლა კი ასეთ პოლიტიკური დუღილის პირობებში, როცა დანამდვილებით არავის შეეძლო ეთქვა ქართველებისთვის პროცესები თუ როგორი განვითარდებოდა, იგი პოლიტიკურ ამოცანას სახავს და მის

[38] დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010. გვ. 37.

ხორცშესხმას უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს სთხოვს. იგი არ მოითხოვს პოლიტიკური დაწესებულების შექმნას, რომელიც შესაძლოა ბევრისთვის გამაღიზიანებელი გამომდგარიყო. ივანე ჯავახიშვილი ეროვნულ-პოლიტიკურ ამოცანის მოგვარებას სამეცნიერო-კულტურული ხერხებით ცდილობს, რომელსაც შეუძლებელია რომელიმე ხალხში პროტესტი გამოეწვია. ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ისაა, რომ როცა ერს პოლიტიკური ინსტრუმენტი სახელმწიფოს სახით არ გააჩნდა, ეროვნულ-პოლიტიკური საკითხის გადაჭრის ალტერნატიული გზა მოძებნა და თავად ჩაუდგა მის განხორციელებას სათავეში.

ლიტერატურის სია

ბენდიანიშვილი ა. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2018.

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა. თბ., 1996.

პროფესორთა საბჭოს ოქმები, თბ., 2006.

სართანია დ. ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. იხ. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II.

ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. XII, თბ., 1998.

ჯორბენაძე სერგო. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984. გვ. 207-210.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე # 7.

Davit Sartania

Ivane Javakhishvili's plan for relations with the Caucasian peoples for the political future of Georgia

Resume

The report made by Ivane Javakhishvili at the session of the Council of Professors of the Georgian University on May 2, 1918 mainly refers to the issues of teaching and researching the language and culture of the peoples of the Caucasus in the university, but in its meaning contains a political content. According to Ivane Javakhishvili, the political situation around Georgia at that time was as follows: Russia was weakened and disintegrated, while Ottoman became stronger. That is why the danger of Georgia comes from the south. Because of this, Georgia should try to keep its back safe in the form of the North Caucasus during the expected complications. To achieve this goal, it is necessary to establish cultural ties with the North Caucasian peoples and make them allies. The most effective way for achieving this goal, will be the research and teaching of their languages and culture at the Georgian University, where North Caucasian youths will also learn, and after learning the profession, imbued with the love of Georgia, they will return to their homeland.

Key words: University, Caucasian peoples, Political future.